პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 35 (18277) პარასკევი, 12 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამპყრელური კვირა

შრომით ვადიდოთ სამშობლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შავი ოქროს“ საკუჭნაოებიდან

„ტყვარჩელის“ № 2 შახტასამართველოს შახტის მაღაროელებმა მრავალი წლის წინ გამომუშავებული ლავებიდან და სანგრევებიდან წლიური გეგმის დამატებით გამომუშავეს 13.300 ტონა ოქსესგადი ქვანახშირი. ამ მიტოვებულ გამონამშვერებში ახლაც მრავლად არის „შავი ოქრო“. და აი, მეშახტეებმა გადაწყვიტეს უკვე გამოშუშავებული შახტებიდან ვ. ი. ლენინის დაბადების 112 წლისთავისათვის ამოღონონ 1300 ტონა სთობრი.

ეკონომია, მომჭირნეობა და „ყაირათიანი მეურნეობრიობა მიწისქვეშა ლაბირინთებში მთავარი პუნქტია სოციალისტური ვალდებულებებისა, რომლებიც მეშახტეებმა იკისრეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში. წლის დასლვამდე სანგრევების და მოსამზადებელი სანგრევების სამთოლი მუშები დაზოგავენ 50 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 115 კუბურ მეტრ საბეგე ხე-ტყეს, დიდძალ ასაფეთქებელ მასალასა და ლითონს. მეშახტეებს გათვალისწინებული აქვთ მასალის ყაირათიანი ხარჯვის გზით შემაცირონ ქვანახშირის თვითღირებულება.

რძე და ხორცი საკარმიდამოდან

ოზი. (ხაკ. კორ.). რაიონში შეუნელებელი ყურადღება ექცევა მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარების საქმეს, როგორც სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ დიდ რეზერვს. სოფლის ბევრმა მშრომელმა გამოხატა პირუტყვი, რომ ქალაქის მოსახლეობა მომარაგდეს ხორცითა და რძით.

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე დებელებმა დ. ლობჟანიძემ 2.204 კილოგრამი, ვ. გავაშელმა 1.880, ზ. გობეჟიშვილმა 1.410 კილოგრამი რძე ჩაბარეს მიმღებ პუნქტს. ფუნერელმა მშრომელებმა გ. მაგომაკვლიძემ და შ. მეტრეველმა გასასექეს და ფითოეულმა სახელმწიფოს 320 კილოგრამი ღორის ხორცი მიაყიდეს.

მეცხოველეთა ჯემები

მახარაძე. (ხაკ. კორ.). მოწონავე კოლმეურნეობებში პირუტყვის სანიმუშო მოვლით ყოველდღიურად მატულობს მეცხოველეობის პროდუქტულობის წარმოება. ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის (თავჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ს. მუხაშავრია) ფერმის მუშაკები სანიმუშოდ მოემზადნენ ზამთრისათვის, უხვად აქვთ მომარაგებული ყუათიანი საკვები.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და წვეადობის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ მოწონავე მეცხოველეები ლ. სალუქაძე, ლ. მელუა, გ. თავდიშვილი და სხვები.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტს

გულითადად მივესალმები. ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მოძრაობას აქტივისტებს, ყველას, ვინც ენერგიას, გამოცდილებასა და ცოდნას არ იშურებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ძმური ერთიანობის ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების დიდი საქმისათვის.

სასიხარულოა, რომ მოძრაობამ, რომლის საწყისებთან იდგა შეესანშნავი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი გიორგი დიმიტროვი დღეს შეიძინა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაქანება, ორგანულად შეისისხლხორცა ჩვენი ხალხების ისტორიული კავშირურთიერთობის სუკეთესო ტრადიციები, ღირსეული ადგილი დაიკავა სოციალისტური ბულგარეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტს, რომლის 25 წლისთავს თქვენ-თან ერთად ადღნიშნავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ღრმითქვაო, რომ საბჭოთა ადამიანები, თავის მხრივ, კმაყოფილ ყველაფერს იღონებენ, რათა ჩვენი მეგობრობა განუხრელად მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს. საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ღრმად ნაცადი მეგობრობა, რომელიც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების „ნაციონალურ“ ინტერესების ძირეულ ერთიანობას ემყარება, სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ურღვევი კავშირის დიდმნიშვნელოვანი რგოლი, მშვიდობისა და კომეწიმმისათვის ჩვენი საერთო ბრძოლის მძლავრი შემოქმედებითი ფაქტორია.

ძვირფასო მეგობრებო! სულით და გულით გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ახალ გამარჯვებებს ეუსურვებ ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ბულგარეთის მიწა-წყალზე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ლ. ბრეჟნევი.

გზად ვენერასაკენ

ფორეული კოსმოსური კავშირის ცენტრი, 11 თებერვალი, (საკადსი). „ვენერა-13“ და „ვენერა-14 ავტომატური სადგურები კვლევითდებერად მიფრინდენენ პლანეტა ვენერასაკენ.

გასვლილ პერიოდში სადგურებთან მოეწყო რადიოკავშირის 94 სეანსი, რომელთა დროს შესრულდა მოძრაობის ტრაექტორიათა პარამეტრების გაზომვები, შემოწმდა სამრაკო სისტემების მუშაობა, დედამიწაზე გადმოიცა მეცნიერული ინფორმაცია.

ოღონ დროს ეწყობოდა იმ პროცესების კომპლექსური კვლევა, რომლებიც განსაზღვრავს მზიური და გალაქტიკური წარმოშობის დამუხტულ ნაწილაკთა ნაკადების გაჩენას და გავლილებას, ავრეთვე სპპლანეტათშორისო მაგნეტიური ველის სტრუქტურას. კოსმოსური აპარატების მუშაობის დაწყება დაემთხვა მზის აქტიურობის მნიშვნელოვან გაძლიერებას. მუშაობის სამი თვის მანძილზე ღიობიცსა დაანლოებით ათი მზის ფეთქება, რომელებსაც თან ახლდა სპპლანეტათშორისო სივრცეში დამუხტული ნაწილაკების ნაკადების გადიდება. ამავე დროს, ავსტრალიელ მაგნიტომეტრის გაზომვების საფუძველზე, აღირიცხა სპპლანეტათშორისო მაგნიტური ველის მნიშვნელოვანი შეშფოთება, რაც გამაბორკა მზის ფეთქებებით გამოწვეული დაკვირის ტალღების გაელან.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „ვენერა-13“ და „ვენერა-14“ სადგურებში მოქმედებს საბჭოური და ფრანგული ხელსაწყოები, რომლებიც ღიობიცსვენ გამა-გამოსხივების კოსმოსურ და მზიურ თქფფეს. სპპლანეტათშორისო ტრაექტორიით ფრენის დროს აღმოჩენილია 20-ზე მეტი თქფენი. აქედან 10 ერთდროულად აღრიცხეს ორი სადგურის ხელსაწყოებმა.

„ვენერა-13“ და „ვენერა-14“ სადგურები ფრენის მიზანს უახლოვდებიან. 10 თებერვალს „ვენერა-13“ პლანეტა ვენერასაგან დაშორებული იყო 7,7 მილიონი კილომეტრით, ხოლო „ვენერა-14“ — 8,5 მილიონი კილომეტრით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მოხაკიმებები, სადგურების საბორტო სისტემები ნორმალურად ფუნქციონებენ. სადგურები პლანეტის მიდამოებს მიაღწევენ შესაბამისად 1 და 5 მარტს.

საქმეთ გამოარჩინა

საქმიანი კონტაქტით შრომობს ორი კოლექტივი, მეგობარი-მეტოქეები შეჯიბრებაში — სოხუმის თევზკომბინატი და მეთევზეობის კოლმეურნეობა, რომლებსაც არაერთგზის გაუმარჯვიათ ქვეყნის თევზის მრეწველობის გადამშუშავებელ და მომამზადებელ საწარმოთა შორის გაშლილ შრომითს მეტოქეობაში.

ორივე კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებს და მეორე წელს დამჯერებელი სტარტი აიღო. მათს შრომითს კალენდარზე მთავრდება პირველი კვარტალი.

კოლმეურნეობის მებადურებმა უკვე მოიპოვეს ოთხი ათასი ტონა პროდუქცია წლიური გეგმით კი გათვალისწინებულია 11 ათას 600 ტონის მოპოვება. თევზგადამშუშავებლებმა მარტი იანვარში 435 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გადაამუშავეს.

სურათებზე: ბრიგადირი როლანდ ხარჩილავა და მეზღვაური ოური ყაკაურიძე (მარცხნივ); სოხუმის თევზკომბინატში შეჯიბრებაში ჩაბმული შორის ავანგარდშია ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტი, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი ლეილ აპრასიძე.

ი. ბოგოლიუბოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოკრონიკა).

ახორციელებენ რა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარფასახულოებებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის და გარკვეული წარმატებები მოიპოვეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

1981 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვების დავალება ოლქმა 25 დეკემბრისათვის შეასრულა. გეგმის დამატებით გამოშვებულია მილიონ 395 ათას მანეთისაზე მეტი პროდუქცია. პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის საგეგმო დავალებანი შეასრულა ოლქის ყველა სამრეწველო საწარმომ. ამ მაჩვენებლების მიხედვით ზრდის ტემპმა 1980 წელთან შედარებით შესაბამისად 109,65 და 107,5 პროცენტი შეადგინა.

შესრულებულია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეგმა, რომლის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 13,4 პროცენტი შეადგინა დაავგმილი 10,2 პროცენტის ნაცვლად. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თითქმის 2,5 მილიონი მანეთის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია. დადებითი შედეგებია მიღწეული კაპიტალური შენებლობაში. დაიზოგა დაფძალი ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, სხვადასხვა მასალა-ნედლეული.

მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა შესრულდა 112 პროცენტით, ხილ-ბოსტეულისა — 100 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, მატყლისა — 125 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები, რომლებსაც აღფრთოვანებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედების პროდუქტების მოყიდვის მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით, ისწრაფვიან რა ამრავლონ და დამაკვიდრონ მიღწეული შედეგები, ამასთან განეხრელად ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სულ უფრო ფართოდ ანაფიქრებ სოციალისტურ შეჯიბრებას სამეფოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მე-60 წლისთავისათვის, და კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 1982 წლის 24 დეკემბრისათვის, გამოუშვან 1,2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის, 20 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

გაზარდონ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში 16 პროცენტამდე.

გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ორი პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

გადაბიდონ გეგმის დამატებით 7 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გაზარდონ მგზავრთბრუნვა 240 ათასი მგზავრკილომეტრით.

დაიჭერონ ვაგონების ბრუნვა ნორმასთან შედარებით 0,5 საათით. გაათავისუფლონ დამატებითი გადაზიდვისათვის დაახლოებით 160 ვაგონი.

შეასრულონ საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და სამინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების ათვისების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მე-60 წლისთავისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

გაზარდონ ზღვრინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი ბრიგადების საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე, მიიცვან შრომის ანაზღაურების აკორდული და აკორდულ-საერგმო სისტემით მონაწილე მუშათა საერთო რაოდენობის 80 პროცენტამდე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა 1982 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

მიაღწიონ ყველა სამშენებლო ორგანიზაციის რენტაბელური მუშაობის, შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 0,5 პროცენტით.

მიწის გამოყენების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, სასოფელ-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საფუძველზე მიაღწინონ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას, რათა გადაჭარბებით შესრულდეს გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

გაზარდონ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ფასები:

მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 1982 წლის 24 დეკემბრისათვის, გამოუშვან 1,2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის, 20 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

გაზარდონ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში 16 პროცენტამდე.

გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ორი პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

გადაბიდონ გეგმის დამატებით 7 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გაზარდონ მგზავრთბრუნვა 240 ათასი მგზავრკილომეტრით.

დაიჭერონ ვაგონების ბრუნვა ნორმასთან შედარებით 0,5 საათით. გაათავისუფლონ დამატებითი გადაზიდვისათვის დაახლოებით 160 ვაგონი.

შეასრულონ საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და სამინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების ათვისების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მე-60 წლისთავისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

გაზარდონ ზღვრინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი ბრიგადების საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე, მიიცვან შრომის ანაზღაურების აკორდული და აკორდულ-საერგმო სისტემით მონაწილე მუშათა საერთო რაოდენობის 80 პროცენტამდე.

ეკონომიურად ხარჯონ ენერგეტიკული რესურსები, ბუნებრივი გაზი, ნავთობპროდუქტები, ელენერგია, ფერადი ლითონი, ბენზინი, ნავთი, ნახშირბადი, ბენზოლი, ფოლადი, ცეცხლგამძლე მასალა, ცეცხლგამძლე ბეტონი, ხე-ტყე, ცემენტი, ასაფეთქებელ მასალა, ფეროშენადნობები, ალუმინი, ბეტონის ნაკეთობა, ლითონის კონსტრუქციები, ავტომობილები, ტრაქტორები

10 წელი

ᲩᲘᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲠ.
ᲛᲔᲓᲔᲒᲔᲠᲘ, ᲞᲘᲠᲡᲐᲛᲥᲘᲜᲯᲘᲡᲯᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ

ᲒᲕᲚᲘᲡᲣᲑᲠᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲡᲐᲜᲘ
3. Რ. ᲞᲐᲞᲐᲣᲜᲘᲫᲔ

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ქალაქები და რაიონული ცენტრები, მძლავრი მრეწველობა, ციტრუსისა და ჩაის უხმელსავლიანი პლანტაციები, ათობით ჯგანმრთელობის კერა — ასეთი დღევანდელი აჭარა. იგი თვალწარმტაცი გახადა პარტიის წინასწარწასახულობამ და მშრომელი კაცის მოუღალმა მარჯვენამ. მარტო ის რა ბევრის მთქმელია, რომ დღეს აჭარაში მოდის საქართველოს ციტრუსების 60-65 პროცენტი, ჩაის — 12 პროცენტი, ათობით ქვეყანაში იგზავნება ბათუმური ნავთობპროდუქტები, ელექტროკარები, ტრანსფორმატორები, კვების მრეწველობის მანქანები და სხვა დიდმნიშვნელოვანი ნაწარმი...

ბოლო ათწლეულში თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამაღლდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე. ეს მიღწევები კი მნიშვნელოვნად განაპირობა იმ მასშტაბურმა შემოქმედებითმა მუშაობამ, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა, აჭარაზა კომუნისტებმა განხილეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საეტაპო, ზოგადპარტიული მნიშვნელობის დადგენილების მიღების შემდეგ.

რა კეთილი კვალი დატოვა ამ ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის თითქმის ათწლეულმა ბრძოლამ აჭარის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში? როგორ სრულდება ავტონომიური რესპუბლიკის თათბაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული გადაწყვეტილებანი? რა წარმატებებია მოპოვებული პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობაში?

„კომუნისტის“ კორესპონდენტმა ასეთი კითხვით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. რ. პაპუნიძეს. აი რა გვიამბო მან.

ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ

ᲑᲐᲠᲛᲝᲜᲚᲘ, უკან დარჩა ბრძოლის, დაუღალავი გარჯა-შენების შრავლისმეტყველი ათწლეული, მაგრამ ნუროვნ გაგვიგებს ის, თითქოს ვამტკიცებდეთ, გასაკვირი უკვე გაკეთდაო. წლეულს იანვარში რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე გამოსულისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ და საქართველოს პარტორგანიზაციის თათბაზე ცენტრალური კომიტეტის ყველა სხვა მომდევნო დადგენილებანი კიდევ მრავალ წელს იქნება ჩვენი მთავარი პარტიული დოკუმენტები, მთელი ჩვენი საქმიანობის, ჩვენი ცხოვრების ძირითადი ორიენტირები“.

სწორედ ამ გადაწყვეტილებათა ადგილებზე პრაქტიკული ხორცშესხმისათვის ზრუნვის დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ [illegible] რთა საბჭოს დადგენილებანი აჭარის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისა და ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალური საკითხებზე.

ბუნებრივია, განვლილ ათ წელიწადში, ისევე როგორც საერთოდ, აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობა მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, მათი უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით. სწორედ ამის შედეგია ჩვენი მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

ეკონომიკის სფეროში განვლილი ათწლეულის მთავარი მონაპოვარი ის არის, რომ უზრუნველყოფილი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დინამიური განვითარება, გეგმების სტაბილური შესრულება, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. ეკონომიკა კი, როგორც მოგეხსენებთ, მთელი ჩვენი საქმიანობის შედეგების კონცენტრირებული გამოხატულებაა, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მატერიალური ბაზაა.

პოლიტიკური თვალსაზრისით აჭარის სინამდვილეში ეს ათი წელი თამამად შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, ყველა სფეროზე პარტიული ზეგავლენის გაძლიერების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრების, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების თანმიმდევრული სრულყოფის, პარტიის საოქმო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და კომეხლილობა აქტიურობის ამაღლების წლები.

გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დადებით ტენდენციები შეიმჩნევა თითქმის ყველა რგოლის: საბჭოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში, ამაღლდა შრომითი კოლექტივების როლი და პასუხისმგებლობა.

ერთი სიტყვით, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცნობილი დადგენილების სასიკეთო გავლენა ნათლად იგრძნობა ჩვენი შრომისა და შენების ყველა უბანზე, ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ცხოვრებასა და საქმიანობაში.

ᲫᲕᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲕᲮᲔᲓᲝᲗ

ᲣᲨᲐᲠ ცხადად რომ წარმოვიდგინოთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებული დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შედეგები, გონების თვალი გადავავლოთ 70-იან წლებს, გავიხსენოთ რა მდგომარეობა იყო აჭარაში ამ დოკუმენტის მიღებამდე.

მაშინ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ზოგიერთ წარმატებათა მიუხედავად, ნაკლებად იყო გამოყენებული წარმოების ზრდის რეზერვები, დიდი იყო იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებდნენ გეგმებს. საფრთხის წინაშე იდგა მეცხრე ხუთწლედის დაკალებათა შესრულება. პეტარზე საშუალოდ 5 ათასი კილოგრამი ჩაი იკრიფებოდა. მეტად დაბალი იყო ციტრუსების, ხილის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე.

გავიხსენოთ სოციალისტური საკუთრების დატაცების, მეკრძალმობის და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმაშფოთებელი ფაქტებიც. არავინ უარყოფს, რომ ასეთი მოვლენები ჯერაც არ აღმოფხვრილა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მაშინ პრინციპალად ეცოტა თუ იბრძოდა მათ წინააღმდეგ.

ჯეროვან დონეზე არ იდგა პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინა, სესტი იყო პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციული, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ცალკეულ შემთხვევებში უხეშად ირღვეოდა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები.

ერთი სიტყვით, ნაკლოვანებები, რომლებიც აღინიშნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებულ დადგენილებაში, მთლიანად და სავსებით დამახასიათებელი იყო აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციისთვისაც.

ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება შრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა ჯეროვანი დასკვნები არ გამოიტანეს თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიაქცია არა მარტო მშრომელთა შორის იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, არამედ ამასთანავე ეკონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში, კადრებთან მუშაობაში, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვაში, ეკრძმესაკუთრულ ტენდენციებთან, წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებებს. ამ დადგენილებამ ორმა კვალი დატოვა აჭარის პარტიული ორგანიზაციების, მთელი იდეოლოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაზე.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარაში პოზიტიური გარდაქმნებისათვის მიმდინარე მუშაობა კვლავ ჩამორჩებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს. ამ მხრივ მუშაობა გააქტიურდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის XIV პლენუმის შემდეგ.

განსაკუთრებული მამბიელიზელი და მარგანიზებელი გავლენა მოახდინა ჩვენს შემდგომ მუშაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 24 ივნისის ცნობილმა დადგენილებამ, რომელიც ეხებოდა აჭარის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობას. აღნიშნული დადგენილების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულების ორგანიზაციორული და იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის პარტიის საოლქო კომიტეტმა შეიმუშავა და განახორციელა მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

70-ᲘᲐᲜᲘ წლები აჭარის სახალხო მეურნეობაში მკვეთრი შემობრუნების ათწლეულად გადაიქცა. ჩვენმა შრომმელებმა სამოქმედო ორიენტირად გაიხადეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, აბსანგ ლ. ი. ბრეჟნევის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი. ხალხის ენთუზიაზმს მეტი გაქანება მიეცა, ფაბრიკებსა და ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში ახალ-ახალი სასარგებლო თაოსნობანი ჩნდებოდა. ხალხის ინიციატივას უნარიანად წარმართავდნენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც აამოქმედეს სხვადასხვა ბერკეტი, მატერიალური და მორალური სტიმულების ფორმები. ბევრი რამ კეთდებოდა სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, კადრების მუშაობისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის გასაძლიერებლად. მკაცრი ბრძოლა გამოეცხადა უყაირათობას, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და განაცვგების ყოველ ფაქტს, ყოველ შემთხვევას.

როდი [illegible] ითქოს პრობლემა გადაწყვეტილიყოს, მაგრამ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა მეცნიერულ საფუძველზე წარიმართა. სწორედ ამ მიზნით პარტიის საოლქო კომიტეტმა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან, აგრეთვე საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან ერთად მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „აჭარის სსსრ სახალხო მეურნეობაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების რეზერვები და ძირითადი მიმართულებანი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“. კონფერენციის რეკომენდაციათა განხორციელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შუმაობის გაუმჯობესებას.

მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლისა და მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიდჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო ერთხელ — საქართველოს სს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა განუხრელად [illegible] ამაღლების გზით, გადაკარბებით სრულდება გეგმები, იხრდება საბჭ[illegible] აჭარის წელიდან საქართველოს სს რესპ[illegible]ის [illegible]ებში, ჩვენი დიდი სამშობლოს ერთიან სახ[illegible]-სამეურნეო კომპლექსში.

1980 წელს აჭარის სამრეწველო წარმოების მოცულობამ 483 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც 130 მილიონი მანეთით აღემატება 1975 წლის მაჩვენებელს. მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით გამოშვებული იყო 541 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 32,5 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული 25,2 პროცენტისა.

შარშან, 1971 წელთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1,7-ჯერ გაიზარდა, გამოშვებული იყო 510 მილიონი მანეთის, ანუ დაგეგმილზე 11 მილიონ 990 ათასი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, ხოლო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 6,1 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა დაგეგმილი იყო 2,8 პროცენტი.

მეათე ხუთწლედი და 1981 წელი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი, ტრანსფორმატორების, მანქანათსაშენებელი ქარხნების, ხის დამშვებელი კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ამ ბოლო წლებში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა ადგილობრივი რეზერვების ამოქმედებისათვის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის. ჩვენთან ხარობს უნიკალური სამხრეთული კულტურები, რომლებიც არა მარტო ძვირფას კვების პროდუქტებს წარმოადგენენ, არამედ. მათი სამრეწველო გადამუშავება დიდ ეკონომიკურ ეფექტსაც იძლევა.

სამი წლის წინათ აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატში დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის გოგრდის ანსიდრიდით შებოლვა და შემდგომი სამრეწველო გადამუშავებისათვის შენახვა. ამ მეთოდის ღირსება ის არის, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფის სამრეწველო გადამუშავება 3-4 თვით ხანგრძლივდება. 1979 წელს კომბინატში შემდგომი სამრეწველო გადამუშავებისათვის შეინახეს 8.680 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რამაც კომბინატს საშუალება მისცა გამოეშვა 10 მილიონი მანეთის, ხოლო მთლიანად „საქკოსსერგმრეწვის“ სისტემას —20 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამ მიმართულებით ღონისძიებები კვლავაც გრძელდება. შემუშავდება ციტრუსების შენახვის და მისგან დამზადებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი.

მნიშვნელოვან რეზერვად მიგვანნია ჩაის ნედლეულის ნარჩენების გადამუშავება; წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა საწარმო, რომელიც შედეგდებულ ჩაისა და მატონიზებელ სასმელს გამოუშვებს.

პოლიტიკური ამოცანის დონემდე აეყვანეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა. ყოველ მესამე საწარმოში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. თუ 1975 წელს ხარისხის ნიშნით გამოდიოდა მთელი პროდუქციის 9,4 პროცენტი, 1981 წლის ბოლოსათვის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წილმა საერთო პროდუქციის 17,9 პროცენტი შეადგინა, ქ. ბათუმში კი — 23 პროცენტი. ამჟამად სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის ხის დამშვებელი კომბინატის, ელექტრომექანიკური, საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი, ტრანსფორმატორების ქარხნების პროდუქციის ნახევარზე მეტი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მრეწველობის ზრდის ტემპები ჯერ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. შარშან 1980 წელთან შედარებით რესპუბლიკის 9 საწარმოს შეამცირა პროდუქციის წარმოების მოცულობა და 1.646 ათასი მანეთით ნაკლები ღირებულების პროდუქცია გამოუშვა: ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა ბათუმის სახლთსაშენებელ კომბინატში, ელექტრომექანიკურ, ნავთობგადასამშვებელ, ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებსა და აჭარის თევზჭერის სამმართველოში. კვლავ არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ზოგიერთ საწარმოში დაბალია ცვლითობის კოეფიციენტი. მაგალითად, ბათუმის რკინაბეტონის ქარხნის სიმძლავრე დატვირთულია 72,7 პროცენტით, ელექტრომექანიკური ქარხნისა — 60,4 პროცენტით, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნისა — 61,5 პროცენტით. საწარმოთა ერთი ნაწილი კვლავ მიმართავს ეგზეგზის კორეტორების მანკიერ პრაქტიკას.

ეიფრენი მკითხველს თავი რომ არ შეეკუნჭოთ, ზოგადად ვიტყვით, რომ აჭარას არასოდეს არ ჰქონია კაპიტალური მშენებლობის ისეთი მასშტაბი, როგორც ბოლო წლებში. აშენდა ბათუმის დეფფინარიუმი, სპორტსკოლა, ნავმისადგომი, ელექტრომექანიკური ქარხანა, ნავთობგადასამშვებელი ქარხნის თბოელეკტროცენტრალი, დასასვენებელი სახლები, საავადმყოფოები, სკოლები და ათობით სხვა ობიექტი... შენდება ბეჭდვითი სიტყვისა და ხარისხის სახლები, სასტუმროები ბათუმსა და ქობულეთში და კიდევ მრავალი სხვა ნაგებობა.

ყოველივე ეს მართლაც გულგასახარი ფაქტებია, მაგრამ ნაკლოვანებებს ვერც მშენებლებმა დაიწერეს თავი. შარშან მათ სახლთან მშენებლობის გეგმა მხოლოდ 84,8 პროცენტით შეასრულეს, საექსპლოატაციოდ არ გადაუცია 11 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვერ ითვისეს კაპიტალდაბანდებანი. გეგმების შეუსრულებლობამ და მშენებლობის ვადების დარღვევამ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა როგორც № 5 სამშენებლო ტრესტი, ისე სახლთსაშენებელი კომბინატი.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲣᲥ-ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ზემოთაც ვთქვეთ, საკვეყნდ ცნობილია აჭარის სოფლის მშრომელთა, განსაკუთრებით მეჩაიეთა და მეციტრუსეთა მიღწევები. ისინი კარგად დაეუფლნენ უხვი მოსავლის მოყვანის ხელოვნებას. ამაღლდა მეთამბაქოეთა, მეცხოველეთა შრომის ეფექტიანობა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენთან თითქმის ალარ არის აუთვისებელი სავარგული, ამ ათ წელიწადში სოფლის მეურნეობის ყველა დარგი ალმავლობით ვითარდება. სოფლის მეურნეობის განვითარების კარდინალურ საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა მიხედვით მტკიცედ ხორციელდება დარგის ინტენსიფიკაციის კურსი, არსებული სავარგულების ეფექტიანად გამოყენების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებანი.

თუ 1971 წელს აჭარის სოფლის მშრომელებმა სახელმწიფოს 40.458 ტონა ჩაის ფოთოლი და 35.109 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი მიაყიდეს, 1981 წელს 68.988 ტონა ჩაის ფოთოლი და 154 ათას ტონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფია მიყიდული. მარტო მეათე ხუთწლედში ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 2.421 კილოგრამით გაიზარდა, ციტრუსებსა — ერთეთრიად.

მეჩაიეთა და მეციტრუსეთა წინაშე ახალი პერსპექტივები გადაშლილა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილება საქართველოს სამხრეთელი და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ფაფდიდებისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ. შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ძვირფასი სამხრეთული კულტურების წარმოების მკვეთრ გადიდებას, უმეტესად ინტენსიფიკაციის საფუძველზე, და გადამუშავებელი მრეწველობის შემდგომ განვითარებას. მკაცრი ბრძოლა გამოეცხადაო სიმეჩხრეს, შენდება ახალი პლანტაციები, ინერგება მეცნიერების მიღწევები, უხვმოსავლიანი ჯიშები, ხორციელდება ნარგავების ყინვისაგან დაცვის ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების სპეციალისტთა მონაწილეობით ბათუმში მოაწყვეს თათბირი, რომლის რეკომენდაციათა საფუძველზე პარტიის საქართველოს კომიტეტის ბიუროს და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს მეციტრუსეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის პროგრამა, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები გულდასმით ეკონომიან და ფართოდ ავრცელებენ იმ მოწინავე შრომითი კოლეტივების გამოცდილებას, რომლებსაც ყოველწლიურად ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავალი მოჰყავთ. მაგალითად, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა, რომლებმაც შარშან საშუალოდ ჰექტარზე 11 ათასი კილოგრამი ჩაი მოკრიფეს, განვლილ წლებში თხჯერ დაიმსახურეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. მათ მსარს უსწორებენ ამავე რაიონის ლიღვას, ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის, ახალშენის კოლმეურნეობები და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობები.

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებმა შარშან თითოეულ ჰექტარზე 280 ცენტნერი მოსავალი მოიწიეს, რაც რეკორდული საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის. აქ სანიმუშოდ უფლიან თითოეულ ძირ ნერგს, აშენებენ ახალ ნარგავებს, ეფექტიანად იყენებენ არსებულ რეზერვებს, უხვი და მყარი მოსავლის მოყვანით გამორჩეული ციხისძირის, მახინჯაურის, მახვლაურის საბჭოთა მეურნეობები, დაგვის, მეჯინისწყლის, ახალსოფლის კოლმეურნეობები და სხვები.

თუმცა კრიტიკულად უნდა აღინიშნოთ ისიც, რომ ყველა რაიონის მზნეულ-მოგსეულებმა ერთნაირი მონდომებით როდი იშრომეს. მეკარტოფილეებმა და მებოლეებმა არათუ ვალდებულებები, სახელმწიფო გეგმაც კი ვერ შეასრულეს. სამეჩხერე ჯერ კიდევ დიდია მთელ რიგ კოლმეურნეობათა ზვრებში, ხილისა და ციტრუსის ბაღებში.

აჭარა ტრადიციული მეცხოველეობის მხარეა, აჭაურმა მოსახლეობამ მცირემიწიანობის პირობებშიც კი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების კარგი გამოცდილება შეიძინა. ამ დარგის განვითარებაში თვისებრივი ძვრები მოხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის შემდეგ.

— საქართველო უნდა გახდეს დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა! — ასეთი მოწოდება გასმა ამ პლენუმის ტრიბუნიდან და იგი აჭარის სოფლის მშრომელებმა საკუთარ გულთან მიიტანეს, თავიანთ საბრძოლო ამოცანად მიიჩნიეს. ხორციელდება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, პირუტყვის საკვები ბაზის გაძლიერების, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მოსახლეობასთან კოოპერირების, საკარმიდამო მეურნეობის განვითარების ღონისძიებები. ავტონომიური რესპუბლიკა უკანასკნელ წლებში გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებებს.

მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო ღრმად ჩავიხედოთ ამ დარგის განვითარების პრობლემებში. დღეისათვის შემუშავებულია სასურსათო პროგრამა ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების, თითოეული შრომითი კოლეტივისა და თითოეული ოჯახის მიხედვით, არსებულ შესაძლებლობათა ყოველმხრივი გამოყენების გათვალისწინებით.

ᲛᲗᲐ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲐᲝᲚᲥᲝ პარტიული ორგანიზაციის 36-ე კონფერენციაზე, აგრეთვე სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების განხილვისას მიზნად დავისახეთ კვლავაც დაბეჯითებთან ვიბრძოლოთ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო და რესპუბლიკური დონისაგან ჩამორჩენის დასაძლევად. ამასთან ქმედითი ღონისძიებები ხორციელდება აჭარის სუბტროპიკული ზონისა და მთის რაიონების ეკონომიკაში არსებული დისპროპორციის შესაცვლელად, სხვადასხვა ზონაში, განსხვავებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ რეგიონებსა და მეურნეობებში თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელების შესახებ პარტიის საპროგრამო მოთხოვნის შესასრულებლად.

ამ თვალსაზრისით უკანასკნელ ათწლეულში მთის რაიონების მშრომელთა ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება მოხდა. მაგალითად, 1975 წელს ამ რაიონებში კოლმეურნეობებიდან მიღებული შემოსავლისა და სახელმწიფოსათვის კოლმეურნეთა მიერ მოყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის ჯამი საშუალოდ ერთ კოლმეურნე კომლზე განგარიშებით 5,4-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე სუბტროპიკულ ზონაში. ამჟამად კი ეს თანაფარდობა მნიშვნელოვნად შემცირდა და 1:3,4 შეადგინა. ამ საქმეში დიდი როლი შესრულა საკარმიდამო მეთამბაქოეობის განვითარებამ და სხვა ღონისძიებებმა.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 თებერვლის დადგენილებას აჭარის მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ. ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე იყო აჭარის მაღალმთიან რაიონებში, საქმიანი შეხვედრები ჰქონდა აქტივთან, შრომმელებთან, ადგილზე გაეცნო რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს. მთის რაიონებში სხვადასხვა დროს იყვნენ ამხანაგები ზ. ა. პატარიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რის შედეგად ხელოს, შუაჯვისა და ქედის რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ბევრი მომწიფებული საკითხი გადაწყდა.

ზემოთ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია მთის რაიონებში ქალაქის მსგავს სამრეწველო საწარმოთა ფილიალების მშენებლობის, აღგილობრივი რეწვის, მეცხოველეობის, მეთამბაქოეობის, მებოლეობის განვითარების, სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების ვრცელი პროგრამა, რომელიც წარმატებით სრულდება. შარშან ხელოს რაიონსულ ცენტრში ამოქმედდა ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ფილიალი, სადაც 500 სამუშაო აღგილია, მთავრდება ბათუმ-ქედის მონაკვეთზე საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია, დაჩარებული ტემპით მიმდინარეობს ხელო-გოდერძის ელექტობილის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია.

ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲘᲔᲓᲝ ᲒᲐᲠᲯᲘᲡᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ მეურნეობის განვითარებაში მობოვებული წარმატებების ერთ-ერთი მთავარი პირობა ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა-გაუმჯობესებაა. გაიზარდა პარტიული კომიტეტების, პლენუმების, ბიუროს სხდომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების მნიშვნელობა,

ჩვენი სასოფლო ჟურნალი

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“

60 წლისა

• •

12 თებერვალს

ა. ერისკანიშვილის სახელობის

სახელმწიფო აკადემიურ

თეატრი გაიმართება

ზეგანილ „საქართველოს

სოფლის მეურნეობის“

60 წლის თავისადმი

მიძღვნილი საზეიმო

სხდომა.

ქართული სასოფლო ჟურნალის ბოლოდროინდელი ნომერი გამოვიდა 1921 წლის იანვარში. ქართველნი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი ... შრომა გასწია სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მისი ეკონომიკის განმტკიცების, ინდუსტრიული რელსებზე გადაყვანის, მაღალეფექტიანი საკოოპერაციო მოძრაობის, მოლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისა და სოფლის მეურნეობის ახალი ძმეკავრი ალმასობის საქმეში.

ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ მრავალი წლის განმავლობაში ... „სოფლის ... „მიწის მუშა“, „სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია“, „საბჭოთა მეურნეობა“, „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, „საქართველოს სოციალისტური სოფელი“, „საქართველოს კოლმეურნე“. დღეგანმავლობაში ჩვენი საიუბილეო ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ 1967 წლის პირველი ნომერიდან გამოდის.

ჟურ ფაარსების, ხოლო შემდეგ ... ახალგაზრდა საბჭოურ ... ...

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲛᲔᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲕᲘ ᲙᲘᲚᲔᲣᲠᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲛ ათეულ წელზე მეტ ხანს ერთგულად ემსახურებოდა გივი კილურაძე საქართველოში ისტორიის მეცნიერების წინსვლას და ახალგაზრდა ისტორიკოსთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ამ ბნის განმავლობაში მან ბევრი რამ შესძინა ქართული სისტემური აზრის განვითარებას და არაერთი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევით გაამდიდრა იგი.

1943 წელს გივი კილურაძემ მსოფლიო ისტორიის სპეციალობით წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა ახალი ისტორიის კათედრის ასპირანტად. ასპირანტურის წლებში იგი თავისი ამაგდარი მასწავლებლის ალექსანდრე ნამორაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ერუდირებულ ისტორიკოსად, საუკეთესო ლექტორად და ნიჭიერ მკვლევრად.

ასპირანტურაში მიღებულმა საფუძვლიანმა ცოდნამ ახალგაზრდა პეტეველისტს ფართოდ გაუღო მეცნიერების კარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრაზე მუშაობის დაწყების შემდეგ გივი კილურაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. აქედ განკლო სატიტი გზა კათედრის გამგემდე.

პროფესორი გ. კილურაძე იყო არა მარტო მრავალმხრივი მკვლევარ-ისტორიკოსი, არამედ შესანიშნავი პედაგოგი და სასწავლო პროცესის სამაგალითო ხელმძღვანელიც. მისი ლექციები გამოირჩეოდა სრულყოფილი მეთოდიკური ჩვეულებით, მეცნიერული სოლიდურობით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით, პოლიტიკური სიმახვილით და ხატოვანი მეტყველებით ენით.

გ. კილურაძის, როგორც მკვლევარისა და ჩინებული ორგანიზატორის სერიოზული დამსახურება იყო, რომ ახალი ისტორიის კათედრა ერთ-ერთი მოწინავე გახდა მთელ უნივერსიტეტში და მსოფლიო ისტორიის ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალური პრობლემების ინტენსიური კვლევისა და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების ერთ-ერთ აღიარებულ კერად იქცა რესპუბლიკაში.

წლების მანძილზე გ. კილურაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მსოფლიო ისტორიის რედაქციის კოსულტანტი. გარდა უნივერსიტეტისა, იგი კითხულობდა ლექციებს ზუგდიდის აკადემიურ-მასწავლებლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. პროფესორი გ. კილურაძე გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მსოფლიო ისტორიის სპეციალობით მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვის სპეციალიზებულ საბჭოს, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების საბჭოს, ენციკლოპედიის სამეცნიერო საბჭოს, ენციკლოპედიური ლექსიკონის, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული